-30

№ 33 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი წელიწადი მეორე

შაბათი 2 მარტი. ქუთაისი, 12 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი მღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ეფლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს 12 თებერვალს

ევგენი ონეგინი

ბარასკეტს, თებ. 13-ს დაივიდოვას მონაწილეობით „ვერტერი". 10 თებერვლისთვის აღებული ბილეთები გაბრდება 13-ში. შაბათს, თებ. 14-ს ოპერა მუშებისთვის „აბესალომი და ეთერი". კვირას, 15 თებ. სადამოს დავით კლდიაშვილის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეი. ორშაბათს, თებ. 16 აგადგება ბენეფისი „ქეთო და კოტე".

საქ. სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ ამა თებერვლის 14-ს, დილის 11 საათზედ, საზოგადოების ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 8) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გასაყიდათ დანიშნულია შემდეგი ავტომობილები და მათი ნაწილები: მსუბუქი ავტომობილი „მეტალურგიკი" № 2520 92.250 მან. „დიქსი" 65.000 მან. „ადლერი" № 1102 113.250 მან. „შევროლეტი" № 1731 93.000 მან. „რენო" № 74622 დია 113.700 მან. „ოვერლანდი" 112.500 მან. კალათი „კუზოვი" 18.000 მან. სამარგო ავტომობილები „დია ბუირი" № 329 27.000 მან. „რენო" № 8385 225.000 მან. რადიატ „სტუდებეკერი" 150.000 მან. ასი სიჩქარის კოლოფი უმოტორით, უკალათოთ 18.000 მან.

ვაჭრობა დაიწყება ზემოაღნიშნულ ფასებიდან. ამ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ კავკასიის ბანკში საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მიმდინარე ანგარიშზე № 7929—25% იმ საქონლის ღირებულებისა, რომელიც მათ სურთ შეიძინონ და ამ თანხის ბანკში შეტანის დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარადგინონ საზოგადოებაში საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. ამ პირობის შეუსრულებლობა უკარგავს მსურველს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლებას. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა № 8.) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

184 2-1 გამგეობა

ჯანმრთელობის დამცველი კომისარიატი

აფხაზეთში იწვევს ექიმებს აფხაზეთის საერობო საავადმყოფოებისთვის, სახელდობრ სამურზაყანოს მაზრაში: გუდავაში, საბერიოში, [illegible] მაზრაში, მოქვაში და კვიტაულში, თვიური ჯამაგირი 6.000 მან., სამგზავრო 1000 მ. ბინა გათბობა და განათება. ვისაც სურს დაიჭიროს რომელიმე ზემოთ აღნიშნული ადგილი, უნდა აცნობოს შემდეგი მისამართით. ქ. სოხუმი, აფხაზეთის მედიკო-სანიტარული განყოფილება. 165 3—2

[illegible] ბანკის განკარგულება.

წესდება

საქართველოს სახელმწიფო ბანკისა.

მ ი ღ ე ბ ა ა ნ ა ბ ა რ ი ს ა.

I. ანაბარი ფულად.

57. ბანკი მიიღებს ანაბარს: 1) სახელდობრ ანგარიშით, 2) უვადოდ და 3) ვადით, ანაბარი მიიღება კერძო კაცთაგან, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა-საზოგადოებათაგან, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ბანკებისაგან.

58. ანაბარი მიიღება ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრულ პირობით. თუ პირობა ვადიან და უვადო ანაბარისა შეცვლილ იქნა, ბანკი მოვალეა გამოაცხადოს ერთის თვით ადრე. ვადიან ანაბარისათვის პირობის შეცვლა არ შეიძლება, ვიდრე ის ვადა არ გასულა, რა ვადითაც მიღებულ იქნა ანაბარი.

59. ანაბარის პატრონი, რომელსაც სახელდობრ ანგარიში აქვს ბანკში, თავის ფულს სარგებლობს ჩეკისა და განსაკუთრებულ წერილის შემწეობით. წარედგინება რა ანაბარის პატრონის მიერ ხელმოწერილი ჩეკი, ბანკი დაუყონებლივ აძლევს ჩეკის წარმდგენელს ფულს, ჰგზავნის ფულს ანაბარის პატრონის განკარგულებისამებრ და სხ.

60. ბანკი მიიღებს ანაბარის პატრონის სახელდობრ ანგარიშით სხვათაგან მის სახელზე შემოტანილ ფულსაც. ანაბარის პატრონს, რომელსაც სახელდობრ ანგარიში აქვს, შეუძლიან მოითხოვოს, რომ მისგან გაცემული თამასუქი ან სხვა რამ ფულის ვალდებულება გამოსყიდულ იქნეს ბანკის მიერ იმ ფულით რომელიც ანაბარის პატრონის განკარგულებაშია.

61. ის საბუთის ქალალდი, რომელსაც ბანკი აძლევს უვადო ანაბარის მიღებისათვის, უნდა იყოს მხოლოდ სახელიანი. ვადიან ანაბარის საბუთის ქალალდი შეიძლება იყოს როგორც სახელიანი, ისე უსახელოც.

62. სახელიანი საბუთის ქალალდი შეიძლება გადაეცეს სხვას, მაგრამ ბანკის დავთრებში უთუოდ უნდა იყოს აღნიშნული ეს გადაცემა.

63. საბუთის ქალალდი უვადო [illegible] ბარისა შესაძლოა მიღებულ იქნეს გირაოდ ხაზინასთან ხელშეკრულობის უზრუნველსაყოფელად სრულ იმ ფასად, რაც შიგ არის აღნიშნული.

64. თუ ვინიცობაა დაიკარგა საბუთის ქალალდი სახელიან ანაბარისა, ბანკი აძლევს დამკარგველს ასლს ანაბარის პატრონის მიერ საბუთის ქალალდის დაკარგვის სამჯერ გაზეთში გამოცხადების შემდეგ. იმავე დროს ბანკი აცხადებს ანაბარის პატრონის ხარჯით დაკარგულ საბუთის ქალალდს, გაუქმებულად.

65. სახელიანი ანაბარი შეიძლება მიეცეს ბანკისაგან თვით ანაბარის პატრონს, მის კანონიერ მემკვიდრეებს, ანუ რწმუნებულს, როცა წარმოადგენენ საბუთს, რომელიც ადასტურებს იმათ უფლებას ანაბარის მიღებისას. ანაბარი, რომელიც მცირე-წლოვანთ ეკუთვნით, მიეცემა პატრონს იმ წესით, რაც ამ საგნისათვის სპეციალ კანონდებულებით იქნება დადგენილი. უსახელო ანაბარი მიეცემა ყველას, ვინც ამ ანაბარის საბუთის ქალალდს წარადგენს.

66. ვადიანი ანაბარი, ვადაზედ მოუთხოვნელი, უვადო ანაბარად ჩაითვლება.

II. ანაბარი შესანახად.

67. ბანკი მიიღებს შესანახად: 1) ფასიან ქალალდებს; 2) ოქროსა, ვერცხლსა და ყოველ ძვირფასს ნივთს, და 3) ყოველ-გვარ საბუთის ქალალდს.

შენიშვნა. პირობით შემოტანილი ანაბარი, ე. ი. ისეთი, რომლის მოხმარება და აგრეთვე მის მიერ მოტანილ სარგებლის მოხმარებაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა უწყებული გარემოება დადგება, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემომტანის მიერ დადებული პირობა არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს და არც შეიცავს რაიმე გაურკვეველობას, ან სიძნელეს მის აღსასრულებლად. წესი ამისთანა ანაბარის მიღებისა ცალკე უნდა იქნეს შემუშავებულ და დამტკიცებული ბანკის საბჭოს მიერ.

68. ანაბარის შესანახად მიღების საბუთის ქალალდი ბანკმა უნდა გასცეს პატრონის სახელზედ. რაც შეეხება ანაბარიან საბუთის ქალალდის გადაცემას სხვის სახელობაზედ, ასლის მიცემას, თუ ვინიცობაა საბუთის ქალალდი დაიკარგა, და თვით ანაბარის დაბრუნებას, ამ შემთხვევაში უნდა დაცულ იქნეს ის წესი, რომელიც დადგენილია სახელიან ფულის ანაბარისათვის.

69. თუ ვინიცობაა დავა ატყდა, ან საჩივარი გაიმართა იმის გამო, თუ ვისა აქვს უფლება მიიღოს ანაბარი, ბანკი, სათანადო სასამართლოს მოთხოვნილებით, თვით ანაბარს ან მის საბუთის ქალალდს უგზავნის თვით სასამართლოს მისდა განსაკარგულებლად. ამას გარდა, ბანკს ნება აქვს, თუ ვინიცობაა შესაძლებლად ვერ დაინახა მისცეს ანაბარი ანუ მისი კუთვნილი სარგებელი იმას, ვინც მოითხოვა, ერთიცა და მეორეც შეიტანოს იმ სასამართლოს დეპოზიტად, რომელსაც ექვემდებარება სათანადო დაწესებულება ბანკისა. ამასთანავე ბანკი ამ თავის განკარგულებას სასამართლოს აუწყებს.

70. თუ ანაბარის შენახვისათვის გადასახადი შეტანილ არ იქნა, როცა იმის ვადა გავა ათის წლის განმავლობაში, თუ შესანახად ფასიანი ქალალდები იყო შეტანილი, და ოცდაათის წლის განმავლობაში, თუ ძვირფასი ნივთები იყო, ანაბარი გასაყიდად დაინიშნება. ფასიანი ქალალდები გაიყიდება ბირჟის მაკლერის შემწეობით, ხოლო ძვირფასი ნივთები—საჯარო ვაჭრობით. გაყიდვით შემოსული ფული თავს სარგებლითა ან დივიდენდითურთ ჩაირიცხება უვადო ანაბარად პატრონის სახელობაზედ, იმის გამორიცხვით, რაც ბანკს შენახვისათვის ეკუთვნის, რაც ანაბარის გაყიდვაზედ ხარჯად გაუწევია და, თუ საჭიროა, სხვა აუცილებელი გადასახდელისაცა.

71. თუ ანაბარი შესანახად არის შემოტანილი, ბანკს შეუძლიან ცალკე გასამრჯელოთი [illegible] ტირაჟში გამოსულის ქალალდების შეცვლა და სხვა მოქმედებაცა, რაც კი ანაბარის მოვლა-პატრონობას შეეხება.

72. გასამრჯელოს რაოდენობა ანაბარის შენახვისა და აგრეთვე ანაბარის პატრონის მინდობილობის შესრულებისათვის უნდა განსაზღვრულ იქნეს ბანკის საბჭოს მიერ და გამოცხადებულ საყოველთაო საცნობელად.

ყიდვა და გაყიდვა განძეულ-საფახურისა.

73. ბანკს ნება აქვს, როცა თავის ოპერაციებისთვის საჭიროდ დაინახავს, აწარმოვოს ყიდვა და გაყიდვა მარტივ და შეპირებულ თამასუქებისა იმ განსაკუთრებულ წესით, რომელსაც გამგეობა შეიმუშავებს და ბანკის საბჭო დაამტკიცებს.

74. ბანკი აწარმოებს თავის დაწესებულებასა და ბირჟაზე, აგრეთვე საზღვარ-გარეთ უცხოეთის თამასუქებისა (ტრატების) და ჩეკების, როგორც მაშინვე გასანაღდებელის, ისე ვადიანების, ყიდვა-გაყიდვას, აგრეთვე თითონაც შეუძლიან გასცეს ასეთი ტრატები და ჩეკები საზღვარ-გარეთის იმ ფირმების სახელზედ, რომლებიც მის კორესპონდენტებად ითვლებიან. ამ ოპერაციას აწარმოებენ გამგეობის უახლოეს ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით ბანკის ის დაწესებულებანი, რომელთაც საბჭოს მიერ ნება-დართული აქვთ.

75. საბჭოს განსაკუთრებულ დადგენილებისამებრ და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან შეთანხმებით ბანკი აწარმოებს ოქროსა და ვერცხლის ყიდვასა და გაყიდვას, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ.

76. ბანკი ჰყიდულობს და ჰყიდის თავის ხარჯით სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქალალდებს, კერძო საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან გამოცემულს ისეთ ფასიან ქალალდებს, რომელთაც ხაზინა გირაოდ იღებს, და აგრეთვე უცხოეთის ფასიან ქალალდებს. ამ ოპერაციების წარმოების დროს ბანკი ჰმოქმედებს საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ და საბჭოს მიერვე განსაზღვრულ ფარგლებში.

გადაგზავნა ფულისა, მიღება ფულისა მრწმუნებულთა ანგარიშით და სხვა სა-კომისიო ოპერაცია.

77. ბანკი აწარმოებს ფულის გადაგზავნას იმ ადგილთა შორის, სადაც იმყოფებიან მისნი დაწესებულებანი ანუ კორესპონდენტები (მუხ. 85), აგრეთვე იძლევა აკრედიტივებს იმავე ადგილებზე.

78. კერძო კაცთა, სავაჭრო სამრეწველოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათ და სხვა და სხვა საზოგადოებას, რომელთაც მისაღები აქვთ ფული იქ, სადაც იმყოფება ბანკის დაწესებულებანი, შეუძლიანთ საბუთები ამ ფულის მიღებისა საკომისიოდ ბანკს გადასცენ და ბანკმა იკისროს წარადგინონ ის საბუთები დანიშნულს დროს ფულის მისაღებად, ხოლო მიღებულს ფულს მოექცეს თანახმად მრწმუნებელთა სურვილისა.

79. თუ საკომისიოდ გადაცემულ საბუთით ფული არ იქმნა მიღებული, ბანკი დაუბრუნებს იმ საბუთს თავის მრწმუნებელს, რომელიც ვალდებულია უკან მიიღოს. ამასთანავე თამასუქებს ბანკი წინდაწინვე პროტესტში გაჰგზავნის, თუ მრწმუნებულისაგან განცხადებული არ ყოფილა თამასუქის უპროტესტოდ დატოვება.

80. ბანკს შეუძლიან იკისროს, საბჭოს ნებართვით, ურთიერთის ანგარიშების გასწორება კერძო კაცთა, საბანკო და სავაჭრო დაწესებულებათა და ხალხთა შორის, რკინის გზის საზოგადოებათა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა შორის.

81. ბანკს შეუძლია ითავოს მრწმუნებელთა დავალება და აწარმოოს იმათის ხარჯით საქ-[illegible] სრულების დროს ბანკში მრწმუნებლის ანგარიშით მყოფი თანხა. პირველ ხარისხოვან საკრედიტო დაწესებულებათა და სავაჭრო ფირმათა, აგრეთვე რკინის გზის საზოგადოებათ შეიძლება მიენიჭოს არა უმეტეს ექვსის თვის ვადისა საბლანკო კრედიტი, ესე იგი, ბანკს ნება ეძლევა იმათ მაგიერ გადაიხადოს იმაზე მეტი, რაც იმათ ნაღდად მოეპოვებათ თავიანთ სახელდახელო ანგარიშით, ან რაც კრედიტი აქვთ სპეციალ სახელდახელო ანგარიშითა, მაგრამ ყოველის კერძო მოვალისათვის საბჭოს ცალკე ნებართვა უნდა იყოს აღებული; ამასთანავე ამ გვარ კრედიტის რაოდენობამ საერთოდ არ უნდა გადააჭარბოს ბანკის სათადარიგო თანხის ნახევარს.

82. ბანკი საბჭოს ნებართვითა და ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით ხელის მოწერას მიიღებს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო საზოგადოებათა სესხებზედა და აგრეთვე ამ სესხის კონვერსიას აწარმოებს.

83. ბანკი აწარმოებს ფასიან ქალალდებისა და საქონლის ყიდვას და გაყიდვას მრწმუნებულთა დავალებით და მათისავე ხარჯით აწარმოებს აგრეთვე, 77—82 მუხლებში მოხსენებულთა გარდა, სხვა საკომისიო ოპერაციასაც ბანკის საბჭოს ნებართვითა და მისგანვე განსაზღვრულ პირობით.

84. რაოდენობა სასყიდლისა, რომელიც ბანკმა უნდა აიღოს საკომისიო ოპერაციების წარმოებისათვის, უნდა განსაზღვროს ბანკის საბჭომ და გამოცხადდეს საყოველთაო საცნობელად. იმ ანაბართა პატრონთათვის, რომელთაც ბანკში სახელდახელო ანგარიშები აქვთ, ეს ოპერაციები შეიძლება აღსრულებულ იქნას დაკლებულის ფასით, ან უსასყიდლოთაც.

85. ბანკს ნება ეძლევა გამოიყენოს სხვა ქართულ და უცხო ქვეყნის ბანკებისა და საბანკო დაწესებულებათა დახმარება კორესპონდენტთა სახით.

ბანკის ოპერაციები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით.

86. სახელმწიფო ხაზინის ნაღდი ფული უსარგებლოდ ჩაირიცხება სახელდახელო ანგარიშით სახელმწიფო ბანკში.

87. ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ხარჯით შემდეგი ოპერაციები:

1) იხადოს სესხი სახელმწიფო ხაზინის კუპონებით იმ წესისამებრ, რომელიც შემუშავებულ იქნება ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით, გასცეს ახალი საკუპონო ფურცლები და გამოსცვალოს ობლიგაციები, აწარმოოს ტირაჟი, გადაიხადოს ტირაჟში ამოსულ ბილეთების საფასური, მოგებული ფული მისცეს მომგებიან სესხის ბილეთებში, აწარმოოს ასეთივე ოპერაციები მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სესხთა, ფინანსთა მინისტრთან განსაკუთრებულ მორიგების თანხმად.

2) გაჰყიდოს ფინანსთა მინისტრის დავალებით ახლად გამოცემული სახელმწიფო და მთავრობისაგან უზრუნველყოფილი ქაღალდები, აგრეთვე გამოსცვალოს კონვერსია-ქმნილის სესხის ობლიგაციები ახალზედ და გადაიხადოს ხაზინის ანგარიშით გამოსასყიდელ ობლიგაციების საფასური.

3) მიიღოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით სამუდამო ანაბარი ამ საგნისთვის ცალკე დადგენილ და გამოცემულ წესით.

4) მიიღოს სათანადო ხაზინების ანგარიშით სახელმწიფო გადასახადი იმ წესისამებრ, რომელიც გამოცემულ იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ ბანკთან შეთანხმებით, ხოლო სათანადო შემთხვევაში ბანკის სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებითაც.

88. ბანკის ყველა ოპერაციის, რომელიც სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით იწერება (მე 87 მუხ.), ცალკე წარმოება აქვს და სა-კომერციო ოპერაციებში არ უნდა იყოს გარეული.

გამგებლობა.

89. ბანკის საქმეთა გამგებლობა ჩაბარებული აქვს გამგეობასა და საბჭოს.

90. ბანკის გამგეობას შეადგენს: მმართველი, ამხანაგი მმართველისა და გამგეობის ორს წევრზედ არა ნაკლები.

შენიშვნა: გამგეობის წევრნი ინიშნებიან სამის წლის ვადით, მაგრამ შემადგენლობა უნდა ახლდებოდეს კენჭის ყრით ამ რიგად: პირველ წელს გადის ერთი წევრი, მეორე წელს—მმართველის ამხანაგი და მეორე წევრი, ხოლო მესამე წელს—მმართველი და დანარჩენნი წევრნი.

91. ბანკის მმართველს პირდაპირ პარლამენტი ირჩევს. მმართველის ამხანაგსა და გამგეობის წევრთ ამტკიცებს თავიანთ თანამდებობაზედ პარლამენტი მმართველის მიერ წარ[illegible] დან ზემოხსენებულისავე წესით სწარმოებს.

92. გამგეობას ეკუთვნის აღმასრულებელი უფლება ბანკის საქმეებში იმდენად რამდენადაც ეს საქმეები დაქვემდებარებული არა აქვს ბანკის სხვა და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას; განკარგულების უფლება ეკუთვნის გამგეობას იმდენად, რამდენადაც იგი დამოკიდებულია საბჭოს გადაწყვეტილებაზედ.

93. კერძოდ გამგეობის მოვალეობა: 1) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ბანკის ოპერაციებსა და საზოგადოდ თვალ ყური ადევნოს საქმეთ-წარმოებისა და ანგარიშების სისწორით წარმართვას, ბანკის წესდების მოთხოვნილებათა აღსრულებასა და ყოველ მის კასის და საფასურ-განძეულის დაცვას; 2) გააშვებინოს და დაითხოვოს ბანკის მოხელენი და საზოგადოდ ბანკის მოხელეობის შესახები განკარგულება მოახდინოს; 3) დანიშნოს რევიზია და გაჰგზავნოს მოხელენი სამსახურის საქმეთათვის სხვა და სხვა ადგილას; 4) განაგოს ხარჯის საქმე კრედიტების გადატანა-გამოტანის უფლებით ბანკის წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში; 5) შეადგინოს და წარადგინოს, სადაც ჯერ არს, წლიური ხარჯთ-აღრიცხვა და ანგარიში ბანკის მოქმედებისა; 6) განაგოს ყოველი ოპერაცია ბანკისა და იმ საქმეში სახელმძღვანელოდ იქონიოს გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ საკრებულოს დადგენილებანი იმის შესახებ, თუ რაოდენი თანხა უნდა მოხმარდეს თითოეულ, ბანკის წესდებით ნება-დართულ, ოპერაციას იმ ფულიდან, რაც ბანკის განკარგულებაშია; 7) განსაზღვროს, საბჭოსთან ერთად, ის საქონელი, სარგებლიანი ქაღალდები და ვალდებულებანი, რომელთა დაგირავებით შეიძლება გაცემა სესხისა; 8) განსაზღვროს, საბჭოსთან ერთად, რაოდენობა სარგებლისა და საკომისიო სასყიდლისა ბანკის ყოველ ოპერაციისათვის; 9) განაგოს იმ წესით, რომელსაც თვით შეიმუშავებს ფინანსთა მინისტრთანა და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით და საბჭო მოიწონებს, ის ოპერაციები, რაც ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით, ოქროს შესახები ოპერაციები და განსაკუთრებული ოპერაციები სესხის გამოცემისა, კონვერსიების წარმოებისა და სხვანი; 10) განიხილოს წინდაწინვე ყველა საქმე, რომელიც ბანკის საბჭოსა ანუ პარლამენტის გადაწყვეტილებას მოითხოვს; 11) აწარმოოს მიწერ-მოწერა და დამოკიდებულება იქონიოს ბანკის სახელით, დასდოს ხელ შეკრულობანი, და შეასრულოს ნასყიდობის სიგელები ბანკის წესდებით ნებადართულ ფარგლებში, აგრეთვე დაიცვას ინტერესები ბანკისა სასამართლოში, რისთვისაც უფლება აქვს გარეშე კაციც მიიწვიოს.

შენიშვნა: ბანკის განყოფილებათა მმართველებს, მთავარ ბუჰალტერს, მთავარ-კასირს და ბანკის ინსპექტორს დაამტკიცებს თანამდებობაზედ და დაითხოვს სამსახურიდან საბჭო ბანკის გამგეობის მიერ წარდგენით, ხოლო დანარჩენს მოხელეებს თვით გამგეობა.

94. გამგეობა, როგორც წარმომადგენელი ბანკისა, ყველგან მის მაგიერობას ეწევა და ამისათვის საჭირო არ არის მისთვის ცალკე რწმუნების ქაღალდი, ხოლო თითოეულს წევრს ბანკისას არ შეუძლიან იმოქმედოს ბანკის სახელით, თუ ცალკე რწმუნება არა აქვს მიცემული გამგეობისაგან.

შენიშვნა: რწმუნების ქაღალდები, რომელსაც ბანკი აძლევს ვისმე, ხელ-შეკრულობანი და სიგელები ხელ მოწერილი უნდა იყოს მმართველისა და გამგეობის ორის წევრის მიერ, ანა ნაკლებ.

95. გამგეობა შეიკრიბება საჭიროებისამებრ, ხოლო კვირაში ერთხელ მაინც უთუოდ. გამგეობის გადაწყვეტილების კანონიერებისათვის საჭიროა კრებას მმართველი და გამგეობის ორი წევრი მაინც დაესწროს. გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნეს ხმათა მარტივის უმეტესობით. თუ ხმათა რიცხვი თანაბარ ნაწილად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა. გამგეობის თითოეულ კრებისათვის უნდა შედგეს მოკლე ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრებაზედ დამსწრე წევრნი.

96. გამგეობის კრებაზედ თავმჯდომარეობს ბანკის მმართველი. თავმჯდომარეს უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, შეაყენოს გამგეობის ისეთი დადგენილება, რომელსაც არ ეთანხმება, და საბჭოს წარუდგინოს გადასაწყვეტად.

97. მმართველი, გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, მიანდობს ამა თუ იმ მოვალეობის აღსრულებას ბანკის გამგებლობის საქმეში ანუ ამ გამგებლობის ამა თუ იმ ნაწილის თვალ-ყურის გდებას გამგეობის ცალკე წევრს.

ეროვნებას, როცა მმართველი ავადმყოფობისა გამო ან სხვა მიზეზით ბანკში არ იმყოფება, ხოლო დანარჩენ დროს ასრულებს თავის თანამდებობას ისე, როგორც გამგეობის სხვა წევრნი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

31 იანვრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ-ე. პ. გეგეჭკორი; მინისტრები—ბ-ნნი ლორთქიფანიძე, ხომერიკი, კანდელაკი, არსენიძე, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ავალიანი, ჰიპინაძე, გედევანიშვილი, ჰავჰანიძე; ცინცაძე, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ჰიპინაძე; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე;

მდივანი—დ. დიდებულიძე.

პარტახტიან სახადის ეპიდემიის მოლოდინში.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება მოსალოდნელ პარტახტიან სახადის თავიდან ასაცილებლათ წინასწარ ზომების მისაღებათ 2 მილიონი მნეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და დაევალოს შინაგან საქმეთა უწყებას წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

ტელეფონის ახალი ნიხრი.

ტელეფონით სარგებლობის ახალი ნიხრი დამტკიცებულ იქმნას 1 თებერვლიდან.

ტყიბულის მაღაროების ხარჯთ-აღრიცხვა.

პროექტი ხარჯთ-აღრიცხვისა (1919 წლის 1 ნოემბრიდან 1920 წლის 1 ივნისამდე) ტყიბულის მაღაროების საექსპლოატაციოთ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას შემდეგი შესწორებებით: დროებით დასახსენებლათ დათხოვნილ ან ავათ გამხდარ მოხელეთა სამაგიერო პირებისათვის გასამრჯელო ნავარაუდევი თანხა (164, 280 მან.) ამოიშალოს:

ხარჯთ-აღრიცხვით განზრახული თანხა (245, 811 მან.) მოხელეთათვის საჩუქრათ მისაცემათ, ამოიშალოს;

ამოღებული ქვა-ნახშირის მინიმალურ ნორმათ დაწესებულ იქმნას 150,000 ფუთი ქვა-ნახშირისა, რომლის შემდეგაც მოსამსახურეთ მიეცემათ პრემია.

თანხა, ნავარაუდევი პრემიების გასაცემათ, დარჩეს იმ რაოდენობით, როგორც არის ხარჯთ-აღრიცხვაში.

განათლების სამინისტროში

მასწავლებელთა შუამდგომლობა.

საქართველოს მასწავლებელთა კავშირის აღმასრ. ბიურომ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, 60% მომატების გამოანგარიშების დროს არ ჩაეთვალოთ მასწავლებლებს 5 წლიური მოშატებანი.

სასწავლო კომიტეტი.

განათლების სამინისტროსთან დაარსდა სასწავლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეობაც განათლების მინისტრის ამხანაგის განკარგულებით დაეკისრა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ივანე ჯავახიშვილს.

სასწავლო კომიტეტის დანიშნულებაა, უმთავრესათ, სახელმძღვანელოების, ხელსაწყობების და სასწავლებელთა პროგრამების განხილვა და პედაგოგიური მხრით შეფასება საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის პრემიების მისჯა და აგრეთვე სხვა და სხვა პედაგოგიურ კითხვების გარკვევა.

სასწავლო კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნება ცალკე სატერმინოლოგიო სექცია, რომელიც შეიმუშავებს ერთს, რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებისათვის სავალდებულო ტერმინოლოგიას სხვა და სხვა საგნებისთვის.

სასწავლო კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ შემდეგი დარგების მცოდნე პირნი: საზოგადო ისტორიის, ქართული ისტორიის, ქართული ენის, უცხო ენათა, მატემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიურ საგნების, ფილოსოფიური, იურიდიული, ჰიგიენის, მხატვრობის, მუსიკის და აგრეთვე სპეციალურ ტექნიკურ საგნების დარგებიდან. ამაშიაც საუკეთესო პედაგოგები და მეცნიერნი.

სკოლების რეორგანიზაცია.

განათლების სამინისტროსთან არსებობს სკოლის რეორგანიზაციის კომისია, დ. უზნაძის თავმჯდომარეობით, რომლის დავალებითაც მოხდება ანკეტა რესპუბლიკის ყველა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების უკანასკნელ მეოთხე კლასების მოწაფეთა შორის.

საანკეტო ფურცელში დასმულია შემდეგი კითხვები:

1) უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რას აპირებთ მოჰკიდოთ ხელი?

2) აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას, თუ აპირებთ სწავლის გაგრძელებას,—რომელ სასწავლებელში?

რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაიონების და ცენზის გამორკვევა.

განათლების სამინისტროსთან არსებული სკოლის რეორგანიზაციის კომისია ამ ჟამად მუშაობს იმაზე, რომ გამოარკვიოს რესპუბლიკის ყველა დაბალ, უმაღლეს და დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა და მათი ცენზი.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

მიწერილობა ერობათა კავშირს.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მიწერილობა გაუგზავნა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, რომ იმ თანხებს, რომლებსაც სამინისტრო აძლევს ერობებს სათესლე ხორბლის შესაძენათ, სხვა მიზნისთვის ხარჯავენ. სამინისტრო წინადადებას აძლევს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, გააფრთხილოს ერობები, რათა ხსენებული თანხები მხოლოდ სათესლე ხორბლის შესაძენათ. იხარჯებოდეს წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

იუსტიციის სამინისტროში

შემნახველ გამსესხებელი კასა.

იუსტიციის სამინისტროს ტფილისის დაწესებულებათა მოხელეებმა დაარსეს შემნახველ გამსესხებელი კასა, რომლის წესდება უკვე მიღებულია საერთო კრების მიერ. თებერვლის-9 ის საერთო კრებაზე არჩეულ იქნა კასის გამგეობა, ხუთი წევრისაგან შემდგარი: დ. წითლანაძე, მ. მონასელიძე, კ. ალშიბაია, ჯ. ყარანგოზიშვილისა და ნ. კეცხოველი აგრეთვე არჩეულ იქნენ: ბუჰგალტერი ა. ზარაქიშვილი, ხაზინადარი ი. მაისურაძე და საქმის მწარმოებელი ი. კანდელაკი.

თანახმად წესდებისა კასის წევრები იხდიან ყოველთვიურად საწევრო გადასახადს, რომელიც უდრის თვიურ ჯამაგირის 2 პროცენტს.

კასის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. წითლანაძე ხოლო მდივნათ მ. მონასელიძე.

უკანონო განკარგულების გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მისწერა საგანგებო რაზმის უფროსს: თქვენ მიერ სად. სალოღლზე გაგზავნილ რაზმის თანამშრომლის სახელზე 13 იანვარს გაცემულ ბრძანებით № 140, რომლითაც გამორკვეულია, რომ აღკრძალულია საქართველოს საზღვრებში შემოშვება რუსების და ებრაელებისა, რომელნიც, ნახსენებ თქვენი განკარგულების ძალით, აღნიშნულ სადგურზე გადმოყავთ მატარებლებიდან, მიუხედავათ იმისა, რომ მათ აქვთ ადერბეიჯანში ჩვენი დიპლომატიურ წარმომადგენლების მიერ კანონიერ წესით მიცემული მოწმობები.

ვინაიდან აღნიშნული თქვენი ბძანება, თავის შინაარსით, რომელიც აღჭალავს საქართველოში მოქალაქეთა შემოსვლას, მხოლოდ მათი ეროვნების მიხედვით, სრულიათ არ შეეფერება სამინისტროს მიერ თქვენდამი მოცემულ დირექტივებს მთავრობის დადგენილების აღსრულების საქმეში ეკონომიურ ხასიათის მოსაზრებებით უცხო ელემენტების საქართველოში შემოსვლის შესახებ და აგრეთვე თქვენ მიერ სადგურ სალოღლზე მყოფ საგანგებო რაზმის თანამშრომლისთვის მიცემული წინადადება არ შეეფერება მთავრობის მიერ მიღებულ სისტემას, რომელიც გამოიხატება ერთნაირ კეთილ მოპყრობაში ყველა ეროვნებისადმი, რომელთაც მათ, კანონიერ ინტერესების ფარგლებში, შეუძლიანთ ესა თუ ის ურთიერთობა იქონიონ რესპუბლიკასთან,—მე საჭიროდ ვცნობ გაუქმებულ იქმნას თქვენი ბრძანება № 140.

გაუწყებთ ყველა ზემოხსენებულს ცნობისთვის და სახელმძღვანელოთ, მე შენიშვნას გაძლევთ აღნიშნულ საქმის გამო თქვენ მიერ გაცემულ უკანონო ბრძანების გამო და წინადადებას გაძლევთ შემდეგისთვის და გაფრთხილებთ, რომ ასეთ კანონის დარღვევათა გამო უფრო მკაცრი პასუხისგება მოგეთხოვებათ და წინადადებას გაძლევთ, თქვენი მოქმედება შეუფარდოთ იმ ინსტრუქციებს, რომელთაც თქვენ გაძლევთ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი

პ. ჯიჯიხაძე.

დამფუძნებელი კრება

10 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტებისა: 1) ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლისა, 2)—რესპუბლიკის ყველა სამოქალაქო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, 3)—გზათა უწყების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, 4)—ბათუმ-ნატანების ნაწილის საჭიროებისათვის 8120543 მან. გადადებისა, 5)—დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 2 მილ. მანეთის გადადებასა დ. ონიაშვილის მოხსენებით ხოგადათ განხილულ იქნა კანონ პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ.

ი. სალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციისათვის საჭირო მასალების შესაძენათ 24 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

ექვ. თაყაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა პროექტი დადგენილებისა დამოუკიდებლობის ფონდის შექმნისათვის საყოველთაო ხელის მოწერის გამოცხადების შესახებ. ამ

დადგენილების ძალით, მთელს რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს ნებაყოფლობითი ხელის მოწერა დამოუკიდებლობის აღსანიშნავად ფონდის შესაქმნელად. ფულები ადგილობრივად უნდა იქნას შეტანილი ხაზინაში დამფ. კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში. პრეზიდიუმი წარუდგენს დამფ. კრებას სათანადო თანხის შეგროვების შემდეგ პროექტს იმისა, თუ რით გამოიხატოს დამოუკიდებლობის აღიარება და მოკავშირეთა მიერ ცნობა: 26 მაისი და 12 იანვარი.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის წევრთა და სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა სამსახურის გამო მოგზაურობის დროს დღიური სარგოს და საგზაო ფულის ნორმის შეცვლის შესახებ. ეს ნორმები შეიცვალა დღევანდელი პირობების მიხედვით.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზის პენსიონერთათვის დამატებითი პენსიის დანიშვნის შესახებ.

დამფუძნებელ კრების კომისიებში.

ნეიტრალურ ზონის მილიცია.

გზათა კომისიაში შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის მილიციის დაარსების შესახებ.

მდ. რიონის ნაპირების გამაგრება.

გზათა კომისიამ მოიწონა პროექტი ლანჩხუთის ქალაქის თვითმმართველობისთვის 500,000 მან. მიცემის შესახებ მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლათ.

ხელოვნების კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

ხელოვნების კომისიის დროებითი თავმჯდომარეთ არჩეულია ივ. გომართელი.

მცხეთის ტაძრის შეკეთება.

ხელოვნების კომისიამ მთავრობას წარუდგინა მის მიერ შემუშავებული მოხსენება მცხეთის საპატრიარქო ტაძრის შეკეთების შესახებ.

აკაკი წერეთლის ძეგლი.

ახლო მომავალში მოწვეულ იქნება ხელოვნების კომისიის და ეტონგრაფიულ საზოგადოების შეერთებული სხდომა აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელათ ზოგიერთ პირობების შესამუშავებლათ.

პატარა შენიშვნები

დენიკინის სიტყვა და რუსეთის გაერთიანების საქმე.

ეკატერინოდარის გაზეთები ნათლად გვიხატავენ იმ მდგომარეობას, რაც ბალშევიკების გამარჯვებით შექმნილა მთელს იმ მიწა-წყალზე, რომელიც ამ ჟამად უკავია გენ. დენიკინის მეთაურობით მოხალისეთა ჯარს.

და ჩვენთვის სწორედ დიდათ ყურადსაღებია იმ ძალების პოზიცია, რომლებიც ბალშევიკების წინააღმდეგ დგანან და იბრძვიან.

რა ლოზუნგით გამოდიან ეს ძალები, რა არის მათი ბრძოლის მიზანი?

დონის, ყუბანის და თერგის ყაზახთა ჯარების უმაღლესი „კრუგის“ სხდომაზე აშკარად დამტკიცდა, რომ, მართალია, ბალშევიკებთან ბრძოლაში მოხალისეთა ჯარის სარდლობის პოლიტიკა დამარცხდა, ის პირდაპირ გაკოტრდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არა სჩანს ჯერ-ჯერობით ისეთი ძალა, რომელიც მოხალისეთა ჯარს შესცვლიდა და პირდაპირ დაუდგებოდა ბალშევიზმს.

უმაღლესმა „კრუგმა“ რამდენიმე დღე ითათბირა, იკამათა, მაგრამ, დაბოლოს, მაინც შეუთანხმდა დენიკინს—მეტი გამოსავალი გზა ვერ იპოვა.

აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ როგორც დემოკრატიულად, თუ ნახევრად დემოკრატიულად მოაზროვნე, ისე უკიდურესი მონარქისტები, ძველი რუსეთის აღმდგენნი, თავისი ძველი საზღვრებით და „განაპირათა“ შეერთებით, ერთ საკითხში შეთანხმდენ.

ეს საკითხი გახლავთ მთლიანი განუყოფელი რუსეთი!..

ამ ორი მიმართულების ხალხს ერთმანერთისაგან აშორებს მხოლოდ გზა, რომლითაც უნდა მოხდეს დანგრეული რუსეთის გამრთელება.

იმ დროს, როცა დენიკინი მოითხოვს კითხვის პირდაპირ დაყენებას—დღიურ ლოზუნგათ მთლიანი რუსეთისათვის ბრძოლას, ოპოზიცია, დონის დეპუტატი აგეევის, ყუბანის—ფილიმონოვის დ სხვანი პრინციპიალურად არ უარყოფენ ამას, არამედ—მათი აზრით, ჯერ უნდა გამაგრდენ, მოეწყონ ადგილობრივი სახელმწიფოები, შემდეგ გაერთიანდეს რუსეთი.

აქედან ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ თითქმის ყოველი რუსი—იქნება ის დენიკინელი, სოციალისტი, დემოკრატი გინდ ბალშევიკი ერთნაირად აზროვნობს იმ საკითხში, რომელიც შეეხება მთლიანი რუსეთის აღდგენას.

ჯერ ლენინმა სთქვა გასულ წელს—მე მთლიანი, განუყოფელი რუსეთის მომხრე ვარ, თუ კი ის იქნება საბჭოთა რუსეთი.

რუსეთის ესერების დიდი უმრავლესობა, სოციალ დემოკრატებიც და სხვა პარტიებიც ასევე მსჯელობენ: რუსეთი დემოკრატიულ-ფედერატიული, ფართო თვითმართველობანი მცირე ერებსო და სხვ.

ყველაფერი ეს კეთილი იქნებოდა, რომ თვით ერებს შეეკითხებოდენ, რომელთა რუსეთის საზღვრებში მოქცევაზე ოცნებობენ, მაგრამ რუსეთის აღმდგენნი ასე მსჯელობენ: სასარგებლოა ამ ერებისთვის რუსეთის ფარგლებში ყოფნა და რატომ არ უნდა შემოგვიერთდენო...

უმაღლესი „კრუგის“ სხდომაზე გენ. დენიკინმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ის არ იბრძვის ძალა-უფლებისათვის, არამედ — ის იბრძვის რუსეთის აღდგენისათვის, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რუსეთის მომავალ პოლიტიკურ წეს-წყობილებას, რომ ის ერთნაირის ერთგულებით ემაახურება, როგორც მონარქიას, ისე რესპუბლიკას დ სხ.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთს მშვენიერ დღეს დენიკინი დარწმუნდა იმაში, რომ ბალშევიკები მთლიანი რუსეთისთვის იბრძვიან (ამის საბუთებს ბალშევიკები აუარებელს იძლევიან) განა იმ წამსვე ის ბალშევიკი არ გახდება? და მერე როგორი ბალშევიკი!..

განა ცოტა დენიკინელი მოიპოვება ჩვენში, რომელნიც სიხარულით მოელიან რუსი ბალშევიკების შემოსევას, ვინაიდან ისინი, მართალია, ბალშევიკები არიან, მაგრამ მაინც რუსები არიან?..

ასეთია საერთოდ რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა. ეს საუკეთესოდ დაგვისურათა უმაღლესმა „კრუგმა“, დენიკინის სიტყვამ, ამასვე ადასტურებს ყოველდღე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მოქმედება, ადგილობრივი ბალშევიკების მუშაობა და სხ...

მომავალ ბრძოლაში, რომელიც წინ გვიდგას ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გვექნება შესწავლილი რუსეთის მდგომარეობა. ეს შეგნება მოგვცემს ჩვენ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ფიზიკურ, ისე ზნეობრივ და სხვაგვარ ძალას...

მთიელთა მდგომარეობა.

გაზ. „ვოლნი გორეცში“ შემდეგი ცნობებია მოთავსებული მთიულეთის მდგომარეობის შესახებ:

ბოლშევიკები დაღესტანში.

ჩრდილო-კავკასიაში ბოლშევიკების ძალა უფლების დაცემის შემდეგ, კომუნისტები ცდილობენ დაღესტნის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით იწოდებენ საქართველოში და ადერბეიჯანში თავშეფარებულ ამხანაგებს. ამ მცირე რაზმიდან სურთ შექმნან ძალა, რომელზედაც შეეძლებათ დაყრდნობა. კომუნისტების მოქმედების ამგვარი მიმართულება ე. ი. პარტიული ინტერესების ყველაფერზე მაღლა დაყენება დაღესტნის მცხოვრებთა მხრივ იწვევს გაკიცხვას, მაგრამ ისინი ვერ გამოთქვამენ აშკარა პროტესტს, რადგან შიშობენ, რომ შინაური განხეთქილება ცუდათ იმოქმედებს ფრონტზე.

დაღესტანში ასეთ უცხო ელემენტების მიერ ძალის შექმნას „ვოლნი გორეცი“-ს რედაქცია სთვლის ავანტიურად და მთიელთა საქმეების ღალატად.

კომუნისტების და თურქების უთანხმოება.

ძალა-უფლების ხელში ჩაგდების ნიადაგზე მოკავშირეების, კომუნისტების და თურქების შორის დაღესტანში სერიოზული შეტაკებები დაიწყო. როგორც ერთი მხარე, ისე მეორე ერთმანეთის უთანხმოებას აშკარათ გამოსთქვამენ. თურქები წინააღმდეგი არიან დაღესტანში კომუნისტურ მიზნების განხორციელებისა, კომუნისტები იმდენათ ფრონტით არ არიან დაინტერესებული, რამდენათ „რევოლიუციის გარღმავებით“, ე. ი. შინაურ—ფრონტის გახსნით.

მთიელთა რესპუბლიკის თავდამცველთა საბჭო ლევამში გართულია მოხალისეებთან ბრძოლაში, რადგან სამხედრო მოქმედება ზოგიერთ ადგილას კიდევ არ წყნარდება.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ამერიკილუ ცნობა.

(ლიონის რადიო-სადგურიდან).

ლონდონის ხელშეკრულობის ტექსტი, რომელიც ბოლშევიკებმა მოსკოვიდან უმავთულო ტელეგრაფით მთელ ქვეყანას გადასცეს. მცირეოდენი შეცდომებით არის სავსე და სრულებით არ იხსენიებს არცერთ მის პირობას რომელიც ოსმალეთს ეხება. ამ საბუთის შინაარსი მე იტალიის დიდი ავტორიტეტებისაგან გავიგე. ლონდონის ფარული ხელშეკრულობით ოსმალეთის იმპერია სრულებით უნდა გაქრეს გეოგრაფიულ რუკიდან და აფრიკაში მყოფ გერმანიის ახალშენებს ანაწილებს სრულებით სხვაგვარათ, ვიდრე ეს ვერსალის ხელშეკრულებაში არის. როგორც მე მესმის დიდ ბრიტანეთს ეხება არა სურს გადასდოს, ის დაპირებანი, რომელიც მან იტალიას მისცა ოსმალეთისა და გერმანიის ახალშენების შესახებ, რაშიც დაინტერესებულია სერბიაც. მე მგონია, ეს არის მიზეზი, რომლის გამო ლოიდ ჯორჯმა შეადგინა უკანასკნელი წინადადება, რომელიც აწესრიგებს ადრიატიკასა და ფიუმეს საკითხებს და წინადადება, რომელსაც სამხრეთ-სლავია ეწინააღმდეგება. ლონდონის ხელშეკრულობის ძალით სერბიამ ოსმალეთში უნდა მიიღოს კონპენსაცია, იტალიამ კი უნდა მიიღოს აფრიკაში მყოფ გერმანიის ახალშენებში თავისი წილი.

გერმანული პრესა.

სამ თებერვალს, მოკავშირეთა მიერ შედგენილ ნოტაში, რომელიც გასაცემად მოთხოვნილ სიას თან ახლავს, აღნიშნულია: სიაში შეტანილი არ არის ყველა გერმანელი, რომელიც ომის კანონების დარღვევაში არის დამნაშავე. პრაქტიკული მოსაზრების გამო მოკავშირეებმა შიგ მოათავსეს მარტო ისინი, ვინც ყველაზე უფრო მეტი პასუხისმგებელია ამ დანაშაულთაჩა დენაში, თუმცა იმ გერმანელთა რიცხვი, რომელნიც დამნაშავენი არიან სამხედრო კანონებისა და დადგენილების დარღვევაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე წარდგენილ პირთა სია. შემდეგ ნოტაში ნათქვამია: მოკავშირენი სრულებით არ ფიქრობენ იმას, რომ აპატიონ დანაშაული მათ, ვინც სიაში არ არის შეტანილი, პირიქით, ისინი უფლებას იტოვებენ თავის ტერიტორიაზე სდევნონ დანარჩენი დამნაშავენი. მოკავშირენი ითხოვენ ყველა საბუთს და არხივებში შესვლის უფლებას, რათა გაადვილონ დამნაშავეთა დანაშაულის ლმტკიცება.

მოკავშირენი აცნობებენ გერმანიას იმ დამატებითი ნოტის შესახებ, რომელსაც ისინი გაუგზავნიან მას 25 იანვრის შეკითხვაზე. ამ ნოტაში ნაჩვენები იქნება გზა, თუ როგორ უნდა გადასცენ გერმანელებმა მოკავშირეებს დამნაშავენი. მილიერანმა 7 თებერვალს პალერის სახელზე გაგზავნილ წერილში ფონ-ლერსნერის მოქმედებას „პირადი დემონსტრაცია“ უწოდა. ნოტა და სია ჩააბარეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, პოლონეთის, რუმინეთის (გამოტოვებულია)... და სლოვენიის მთავრობის სახელით.

ფრანგული პრესა.

გაზეთებში სწერენ: ბერლინში ეხლა იციან, არა თუ მოთხოვნილ პირთა სახელები, არამედ მიზეზიც, თუ რად სდევნიან მათ. ამის გამოქვეყნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრალდებათა სერიოზულობამ ბერლინი შეაშფოთა. სხვა და სხვა აზრთა შორის თანდათან გარკვევით ჩნდება მიმდინარეობა, რომელსაც იქითკენ მიეყვავართ, რომ გერმანია ზოგ პირთა მფარველობაზე ხელს აიღებს, უკიდურეს შემთხვევაში იმ პირთა მფარველობაზე, ვინც დამნაშავეა ხალხის უფლების დარღვევაში, ან და რომელთა საზიზღარი ძალადობაც აშკარათ არის დამტკიცებული. მემარჯვენე გაზეთები გაბრაზებული არიან ანტატაზე. „ფორვერსტი“ პირიქით, დამნაშავეთ ურჩევს გააკეთონ ლამაზი ჟესტი და თავისი ნებით გადასცენ მოკავშირეებს. „გერმანია“, ცენტრის ორგანო, მთავრობას ურჩევს მოლაპარაკება განაგრძოს და ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი იპოვოს.

პრაგიდან იუწყებიან: ავსტრია—ჩეხია—სლოვაკიის მოლაპარაკება მაგნეზიის, ფოლადის, რკინის, რეზინის და სხვა დაუმუშავებელ საქონლის შესახებ, შეთანხმებით გათავდა.

ვარშავიდან მოსული ცნობით სეიმის საზეიმო სხდომაზე, პოლონეთის მიერ ზღვის ნაპირის დაჭერის გამო, მთავრობა ყრილობას წარუდგენს ვისლის დასავლეთის მხარეზე ნავთსადგურის გაკეთების პროექტს, სეიმის საზღვაო კომისიამ მიიღო 500000 მარკა წინასწარ გამოკვლევისა და პროექტების შესადგენათ. პოლონეთის დანარჩენმა პროვინციის სეიმებმა და ქალაქის თვით-მართველობებმა თავის მხრივ გაიღეს რამდენიმე მილიონი ფრანკი პოლონეთის ფლოტის ასაშენებლათ.

ბოლშევიკური ცნობები.

მოხკოვი, თებ. 10. რევოლიუციონური მშრომელთა ომის გამო „პრავდას“ მოწინავე სწერს: ისტორიამ იცოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული არმია, მაგრამ ისტორიამ არ იცოდა მშრომელი არმია, ყოველი არმია პირდაპირ და არა პირდაპირ ანგრევდა მეურნეობას, მშრომელი არმია კი, პირიქით, ფეხზე აყენებს, მშრომელთა არმიის ცნობა ლაპარაკობს არა დაპყრობილ ქალაქებზე, არა ზარბაზნებზე, და სხვა, არამედ შეშით დატვირთვის გზის გაწმენდის, პურით დატვირთულის რაოდენობაზე, იმაზე თუ რამდენი ნახშირი ამოითხარა და სხვა... მშრომელი არმიის მიმართ ბრძანებაში ნათქვამია: „დაჩეხა, მიზიდვა, დატვირთვა, შეკეთება და გაწმენდა. ისტორიაში ამ არა ჩვეულებრივ ცდაზე მეურნეობის აღსადგენათ ჩვენ მასას მოუწოდებთ. მუშათა კლასის ხელი დუზაზე იმყოფება, მანჭანები ამუშავებულია.

სამეურნეო საბჭო აარსებს პირველ შრომის არმიას. რაზმი შემდგარი იქნება 300 საუკეთესო მუშისაგან, რომელნიც მახლებელ ჭარხნებიდან და ფაბრიკიდან არიან წამოყვანილნი.

როსტოვი. 8/2 ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. გამოდის გაზეთი „იზვესტია კომუნარტი.

პოლტავა. 7 თებერვალს, საგ. რევ. კომიტეტმა 40 მილიონი მანეთი გადასდო უცოდინართა წერაკითხვის შესასწავლებლათ.

ბრიანსკი. 9 თებერვალს, გლეხთა შორის ძლიერ გავრცელდა ცოდნის მიდრეკილება. კულტურულ განმანათლებელი, თეატრალური და სხვა წრეები სოფლებში არა ჩვეულებრივათ იზრდება.

ხარკოვი. 7 თებერვალს, ხარკოვის ესერების ორგანიზაციამ დაადგინა პარტიას გამოეყოს და შეუერთდეს უმცირესობას, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას.

მოხკოვი, სამხედრო ცნობა. თებ. 10. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით მტრის გამაგრებული პოზიციის ორი ხაზი დავიჭირეთ. ონეგის რაიონში ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა, ხელში ჩაიგდო ზარბაზანი. სვენსკოეს ტბის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი ველიკოე სელოს აღმოსავლეთით სიმაღლეებიდან გამოდევნა. მტერი უთავბოლოთ გაიქცა, მას შკან დაედევნა ჩვენი ჯარი. კოროსტენის რაიონში ქალ. ბარის სამხრეთით და დასავლეთით 40 ვერსზე რკინის გზის ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი აიღო. ტირასპოლის ჩრდილო აღმოსავლეთით 50 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევით ოპს აწარმოებს. აქ მტერი მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს. ქვემო დონზე და მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. სტავროპოლის ჩრდილო დასავლეთით 50 ვერსზე კონსტანტინოვკასთან მტრის ცხენოსნების შემოტევა მოვიგერიეთ.

ხარკოვი, 7 თებ. როსტოვიდან მოსული საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ როსტოვში უკანასკნელ დღეებში თეატრების ყოფნის შესახებ. დამარცხების გამო სტრუვეს „ველიკაია რასიამ“ და სუვორინის „ვეჩერნეე ვრემია“-მ გამოსთქვეს აზრი გერმანიის ორიენტაციის სასარგებლოთ. დონის „კრუგის“ დახურული სხდომის დროს დენიკინმა შკუროსა და მამონტოვს მმართველები უწოდა.

სარატოვი, თებერვ. 9. შავი ზღვის ნაპირებზე ანაპა-ტუაპსეს რაიონში 12 ათასი აჯანყებული მოქმედებს. აჯანყებულებს ხელმძღვანელობს ყოფილი პორუჩიკი გობლიჩენკო და ყუბანის რადის ყოფილი თავმჯდომარე მაკარენკო. აჯანყებულებმა აიღეს თემრიუკი და დამანის ოლქში სტანიცები. აჯანყებულთა მოძრაობა მოეწყო სტავროპოლის გუბერნიაშიც.

სახალხო გვარდიის შტაბში.

წარმოდგენები გვარდიელთათვის.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ დაადგინა კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოაწყოს წარმოდგენები სახაზინო თეატრში სახალხო გვარდიელებისთვის. წარმოდგენების დღეს გვარდიელები განთავისუფლებულნი იქნებიან თავის მოვალეობისგან.

ბოსტანი.

სასოფლო სამეურნეო განყოფილებამ მთავარ შტაბში წარადგინა ტფილისის მიდამოებში საკუთარ ბოსტანის მოწყობის პროექტი.

ერობა

თელავის ერობაში.

ერობა უკვე მოეწყო, მთელ მაზრაში 15 წვრილი ერთეულია. ერობის მუშაობით ხალხი მადლიერია. წვრილი ერთეულები მუშაობენ სხვა და სხვა გადასახადების ასაკრეფად, სხვათა შორის წვრილი ერთეულები მათ საზღვრებიდან გაზიდულ ყოველგვარ საქონელზე ახდევინებენ 1 მანეთს და სხვა.

სამაზრო ერობა წვრილ ერთეულებს აძლევს არსებობისთვის 30% გადასახადებიდან შემოსულ თანხიდან და 3,000 მანეთს თვიურად.

წვრილი ერთეულების მოვალეობაა სხვათა შორის კანტროლი გაუწიონ სკოლების, საავათმყოფოების და სხვა საერობო დაწესებულებების მოქმედებას. ყველა დადგენილებები წვრილი ერთეულებისა ეგზავნება სამაზრო ერობის გამგეობას, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში შეუძლია მისი გაჩერება. სამაზრო ერობას ჰყავს ორი ინსტრუქტორი, რომელთა მოვალეობაა ყურადღება მიქციოს და უხელმძღვანელოს წვრილი ერთეულების მუშაობას.

თელავის ერობის ადმინისტრაციას ენერგიული ბრძოლა უხდებოდა მაზრაში გახშირებულ ყაჩაღობასთან, რაშიც უკანასკნელმა სიყოჩაღე გამოიჩინა და დღეს თითქმის მოსპობილია მაზრაში ყაჩაღების თარეშობა.

გასული წლის თელავის მაზრის ერობის ხარჯთ-აღრიცხვა უდრიდა $10^1/_2$ მილიონ მანეთს, რომლიდანაც $3^1/_2$ მილ. მიიღო მთავრობამ სესხის სახით სკოლებისა და ადმინისტრაციის შესანახათ. აგრეთვე სუბსიდია მიიღო ერობამ მთავრობისაგან 110 ათასი მანეთის სახით.

გასული წლის ადგილობრივი შემოსავალი მეტად მცირე იყო, ერობამ ვერ დაფარა ხარჯები და დღეს ერობას დიდი ვალი აქვს.

ამ წლისათვის ერობას მიზნად აქვს შემოილოს სხვა და სხვა გადასახადები, აღძრულია შუამდგომლობა აგრეთვე საფუთო გადასახადის დაწესება ნებართვისათვის.

ნავარაუდევია 2 მილიონის მიღება სანიტარულ გადასახადისაგან და 1.600,000 მანეთის—საადგილ-მამულო გადასახადისაგან. ერობა შუამდგომლობს აგრეთვე 40% შემოსავლის დატოვებას სპირტეულობის აქციზისაგან.

1920 წლისათვის ერობამ უკვე მიიღო 3.300,000 მან. მთავრობისგან.

ერობა ამზადებს შეშას და წიფლის ფიცრებს ბოჭკებისათვის. ერობას აქვს სტამბა ქალაქ თელავში, რომელიც ასრულებს ერობის საქმეებს გარდა კერძო საქმეებსაც.

ერობა აწარმოებს ფართო სასურსათო მუშაობას, ის ამზადებს მომარაგების სამინისტროსა, ჯარისთვის და სახალხო გვარდიისათვის სანოვაგეს.

მაზრაში ტელეფონის გაყვანა თითქმის დასრულებულია, ამ დღეებში თელავი შეერთებული იქნება ტფილისთან. სწარმოებს გზების შეკეთება, მაგრამ მრავალ საჭირო მასალების უქონლობის გამო ფერხდება მუშაობა. ერობას უხდება მუშაობა აგრეთვე მდ. კისისხევის ნაპირების შესაკეთებლად, წყლების სამმართველომ უკვე გამოგზავნა თავის სპეციალისტი ამ საქმის შესახებ. ერობას აზრათ აქვს აგრეთვე გააკეთოს ხიდი ალაზანზე და შეუერთოს მათი მდიდარი ფშავის რაიონი ცენტრს. განზრახულია აგრეთვე ელექტროენის სადგურის აგება, რომელიც მთელ მაზრას მისცემს ენერგიას.

ნაფიც ვაჭართა პრილოგა.

შაბათს, თებერვლის 7 ს, შუადღის 12 სათზე გაიხსნა სრ—დ საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც მსაჯულთა დამფუძნებელი პრილობა, რომელსაც სულ 57 ნაფიცი ვეჭილი დაესწრო (გარდა ერთისა ყველა ტფილისის ყოფილ გუბერნიიდან).

პრილობას თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ბ-ნი გ. ჩაჩიბაია, რომელმაც მისასალმებელ სიტყვით გახსნა კრება და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა სამართლის სათანადო დონეზე დაყენების საქმეში.

შემდეგი სიტყვით პრილობას მიჰმართა იუსტიციის მინისტრმა რ. არსენიძემ, რომელმაც აღნიშნა მათზე დაკისრებულ მოვალეობის სიმძიმე და სერიოზულობა და აღნიშნა, რომ ნაფიც ვეჭილთა საბჭო დიდ როლს ითამაშებს იმ მისწრაფებათა განხორციელებაში, რომელიც დასახული აქვს იუსტიციის სამინისტროს. მინისტრის სიტყვის შემდეგ კრება რამოდენიმე წუთით შეწყდა საბჭოს კანდიდატთა სიის შესახებ სათათბიროდ კრების განახლებისას ბ ნ. რუსიამ წარადგინა შეთანხმებული სია საბჭოსი, რომელშიაც 9 ნაფიცი ვეჭილი შედის.

თავმჯდომარედ—გ. გიორგაძე, მის ამხანაგად—გუნცაძე, წევრებად—შ. მესხიშვილი, ი. დოლუხანოვი, კ. ნინიძე, ზ. მაჭავარიანი, ნ. ელიავა, გედევანიშვილი და ტერ გეოდიანცი

სია მიღებულ იქმნა ყრილობის მიერ და ამით ყრილობის მუშაობაც დამთავრდა.

მეთამგაკოეთა პრილოგა

ყრილობა იკრიბება 1920 წ. ქალ. ტფილისში თებერვლის 15 დ გრძელდება ამავე თვის 16 და 17.

ყრილობის წევრობა შეუძლიან საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მეთამბაქოეს, ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს მომწვევ კომიტეტის მდივანს.

სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეთამბაქოეთა კავშირები და ის კოოპერატიულ საკრედიტო, თუ სხვა დაწესებულებანი, რომელთაც კი მეთამბაქოობასთან აქვთ რაიმე დამოკიდებულება, ყრილობაზე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

მოხსენებები ყრილობისათვის საორგანიზაციო კომიტეტს უნდა ჩაბარდეს ერთი კვირით ადრე ყრილობის დაწყებამდე.

ყრილობას ხელმძღვანელობს მომწვევი კომიტეტი, ვიდრე ამორჩეული არ იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

ყრილობის წევრთ ეძლევა პირადი ბარათი, ყრილობის დაბეჭდილი ანგარიშები და ყოველივე გამოცემა.

ყრილობის წევრთათვის მოწყობილი იქნება სხვა დ სხვა ფირმა ქარხნების დათვალიერება.

საწევრო გადასახადი 50 მან.

ჩაწერა და წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება გრაფის ქუჩა, № 2, 10—2 ს.

პროგრამა ყრილობისა 1. პლანტაციები: 1) თამბაქო საქართველოში; 2) სნეულებანი და მათთან ბრძოლა; 3) პლანტაციების მოვლა; 4) ნიადაგის გამოფიტება და მისი განოყიერება; 5) მუშათა საკითხი პლანტაციებზე; 6) გადასახადები;

2. თამბაქოს წარმოება. 1) თამბაქოს წარმოების მდგომარეობა; 2) კანონმდებლობა ქარხნებისათვის; 3) აქციზი;

3. საზოგადო კითხვები. 1) ნაციონალ ცოდნათა გავრცელება; 2) მონოპოლიის კანონები და მისი გავლენა და განხორციელების წესი; 3) აგრარული რეფორმა და მისი გავლენა; 4) ფურცლოვან თამბაქოთ ვაჭრობა და ექსპორტი; 5) კრედიტის მოწყობა თამბაქოს საქმისათვის; 6) ზომები საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; 7) მეთამბაქოეთა ყრილობის პერიოდული წესი და მუდმივ ცენტრალურ ორგანოს შექმნა.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაში 1920 წ. თებერვლის 13 საკასაციო წესით განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე ნიკოლოზ ლვინიაშვილისა ნინა აივაზოვის და ოლღა პიპინოვის მიმართ 875 მან. სარჩელის შესახებ და მოპასუხეთა 222 მან. შესახვედრ სარჩელის შესახებ.

2. საქმე სირანუშ არუთინოვის გრიგოლ ხატიევის მიმართ მამულის თაობაზე.

3. საქმე მართა აბაზაძისა ოლღა ხაბაზაშვილის მიმართ 600 მან. ღირებულ მამულის თაობაზე.

4. საქმე ანა სმირნოვისა პეტრე სმირნოვთან სარჩოს მიცემის თაობაზე.

5. საქმე ანასტასია, მატრიონა, გრიგოლ, პეტრე და იოანე გოროხოვებისა ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებასთან 12000 მან. თაობაზე.

ქუთაისი.

სააზ. „შევარდენი“.

2 თებერვალს ქუთაისის ქალაქის თეატრში მოხდა აქაურ სატანთ-ვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს პირველი გამოსვლა, რომელსაც სხვათა შორის დაესწრენ რესპუბლიკის ტანთ-ვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი გ. ეგნატაშვილი თავისი თანაშემწეთ ირ. ლორთქიფანიძე, ტფილისისის საზოგადოება „შევარდენი“-ს თავმჯდომარის ამხანაგი გიორგი ნიკოლაძე და გაიოზ ბერელაშვილი და სხვანი.

სატანთ ვარჯიშო ზეიმის ქუთაისის საზ-ება „შევარდენი“-ს მდივანმა წაიკითხა მოხსენება „შევარდენობის“ განვითარებასა და მნიშვნელობაზე. ტფილისელ შევარდენებს ხალხი ტაშის ცემით შეეგება.

შემდეგ დაიწყო გამოსვლა ვარჯიშობა, რომელიც ჩინებულათ ჩატარდა. განსაკუთრებით კარგათ შეასრულეს ვარჯიშობა ქალებმა. მშვენიერი იყო პატარა ეროვნულ დროშებით. ხალხი აღტაცებაში მოიყვანა ადგილობრივ ტანთ ვარჯიშობის ხელმძღვანელის რთულმა ლამაზმა ვარჯიშობამ სატანთ-ვარჯიშო იარაღებზე.

ზეიმის დასასრულ მოვარჯიშეთ მიესალმენ ტფილისის საზ-ება „შევარდენი“-ს სახელით გიორგი ნიკოლაძე და ქუთაისის „შევარდენი“-ს საბჭოს სახელით—ა. ჩხენკელი, რომელმაც დაფნის გვირგვინი მიუძღვნა მათ

დიდი ხანი არ არის, სულ 3 თვეა, რაც ქუთაისში დაარსდა საზოგადოება „შევარდენი“. ამ მცირე ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა წარმოებულა, რასაც მოწმობს 2 თებერვლის საღამო.

ამ მოკლე ხანში „შევარდენი“-ს უფროსს ცნობილ ვარჯიშთავს დ. ლ. ჯავრიშვილს მშვენივრათ მოუმზადებია და, გაუწვრთვნია თავისი წურთვნილნი.

საჭიროა ის ინტერესი, რომელსაც „შევარდნობა“ იწვევს საერთოდ ახალგაზრდობაში, უფრო გაძლიერდეს და საზოგადოება მეტი დამსახურებულ ყურადღებით მოეპყრას ქუთაისის „შევარდენს“ და დაე, ჩვენმა ახალგაზრდობამ სრულიათ დაივიწყოს „ბულვარის“ ტკეპნა უსაქმურათ დროს ტარება და ხელი მოჰკიდოს ტანთ-ვარჯიშობას, ვინაიდან: ევროპაში ცნობილი ფაქტია, რომ ჩეხიაში სწორეთ „შევარდენობა“ იყო ეროვნულ მოძრაობის წინამძღოლი და შევარდენთა რაზმების მეოხებით და ბრძოლით ჩეხია გადარჩა სიკვდილს. ესეც არ იყოს ლათინთა სიბრძნე ამბობს: „სალი ტანი ჰკმნის: საღ გონებასაო“.

კ. კ.

შეცდომის გასწორება:

გაზეთ „საქართვ· რესპუბ.“ № 30 მეოთხე გვერდზე რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების განცხადებაში დაბეჭდილია ოდესიდან კვ. № 6648634, უნდა იყოს 6548634.

განცხადებანი

დანიელ გრიგოლის ძე რუსტამოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 517, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 230 3—

ნინო ჩიგოგიძე აცხადებს, რომ მან 14 იანვარს დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 2276 რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 231 3—

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10-ე მუხლისა, იწვევს პირთ. მსურველთ დაიჯირონ ქ. სურამის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობა.

მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით: ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არ აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდენ სასამართლოში ამა წლის 3 მარტს, დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე.

თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1-ლ. ოქტომბრის კანონისა მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტების შედგენა და საქმის წარმოება ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვისაც ვინც, ირიცხება ნოტარიუსად ტფილისში. 035 1—1

Савлу Бесарионის ძე ზუზაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. Сезанოს კომისარიატიდან, № 2. Пасპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 237 3-1

სტუდენტი ს. ქარცივაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 6, აღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 238 3—1

ცეცხლიდან ურთიერთ ქონების დამზღვევი საზოგადოების გამგეობა ამით იუწყება, წლიური ანგარიში 1919 წ. საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ, წიგნებითა და საბუთებით წესდების მე-36 ს-ის ძალით, გახსნილია გამგეობაში დამზღვევთა განსახილველათ. 197 1—1

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე საგჩუკი აცხადებს, რომ ვექილობა, მიცემული მისდამი მის ცოლზე ქსენია პროხორის ასულ საგჩუკზე და შედგენილი ტფილისის ნოტარიუს ქართველიშვილთან, გაუქმებულია. 190 1—1

დაკარგული რკ. გზ. ზედნადები (ნაკლადნაია) №№ 26241, 26263 ქუთაისი—ტფილისი, გაუქმებულათ ითვლება. ი. ა. ფრეიმანი. 226 3—1

დაკარგული ზედნადები (ნაკლადნაია) № 27768, ბაქო—ფოთი, გაუქმებულათ ითვლება. დ. ს. ბერკოვიჩი. 227 3—1

ტატიანე მიხეილის ასული კრუგლეკოვა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 3020 რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 234 3-1

დაკარგულია კ. ნიკოლაშვილის სახელმწიფო ფონდის წიგნაკი № 855, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 221 3—2

ლიუდმილა ივანეს ასული სლიპკა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ქალაქის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 225 3—2

გრიგორი თომასის ძე როსტომიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მოწმობა, აღებული მიხტიევის ქარხნიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 228 3—2

ალექსანდრე პეტრეს ძე ჩუბალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 12978 აღებული ტფილისის ყოფილ პოლისმეისტრის კანტორიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 229 3—2

დიმიტრი ზურაბის ძე მუსერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო ფულათ 1200 მანეთი და ს. მუხლის საზოგადოებიდგან (რაჭის მაზრა), აღებული პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 201 3—2

დაკარგულია პასპორტი, აღებული 1920 წ. იანვრის 20-ს ქ. ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან ლიუბა პავლეს ასულის მაჭავარიანის მიერ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 216 3-3

თებერვლის 12-ს 2 საათზე ტფილისის საგუბერნიო ათასეულის ბინაზე, კახეთის ქუჩა (ტფ. პოლკის ყაზარმაში) საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ძველი ტბილისი

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი

სტამბა საქ. რესპუბლიკის მთავრობისა.